

# მარტო

საქოველ-კირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

20 აპრილს

გამოიცა მა

№ 16

ეპილო ბი

1886 წელს.

ფასი „თეატრი“-ს წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევრ წლით სამი (3) მანეთი, სხვა გადით ხელის მოწერა არ მიაღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-ს ღის სამი შაურა. ხელის მოწერა მიღება: თანალისში „თეატრი“-ს ფედერაცია და ქუთაისში მმ. ჭილაძების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ფვრის ადრესი: თიფლის. ვე რედაქციი „Театръ“.



ვერცხლი ოჯახი

(მოთხოვთ)

I

— „მერე, კიდევ უნდა ესთქვა, რომ ამისი მამაც მამა არის! ასე უიქრობდა ერთი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, რომელიც ანიშნებდა მიტრიაზედ რომელიც ჩამომჯდარიყო ეზოში მაღალი ფურცლის ქვეშ კუნძხედ და მისცემოდა რაღაც გამოურკვეველ ფიქრებსა. მიტრია, დიდხანს იყო ასე ჩაუიქრებული; ბევრმა იქავე შარა-გზაზედ გამლელგამომლელმა გადასძახეს «გამარჯობა», მაგრამ მიტრიას სრულებითაც არა ესმოდა რა და კულათა ფიქრობდა იმ საზარელ ფიქრებს, რომელიც თავის ოცდაორი წლის სიცოცხლეში, მხოლოდ ეხლა გაპლიდებოდენ და მხოლოდ ეხლა არეოდენ თავში.

— „ის რომ კეთილი მამა ყოფილიყო, განა ასე დაღუპავდა, განა ასე გაასწორებდა მთელ აჯახს მიწასთანა!.. არა, რომელი მამა იზამდა, რომ აჯახის შერცხვენასთან, ასე თავს ლაფ-დასხმულს ატარებდეს თავის ცოლ-შეილსა?“

მიტრია ოცდა ორი წლის ახალგაზდა ყმაწვილი კაცი იყო; იმისი მოწითური პირის სახე, დიდრონი და

სიცოცხლით სავსე გამომეტყველ თვალებს, ნათლად შეატყობით გულის მოვარჯიშე და მხნეობით სავსე ყმაწვილ კაცობასა. მიტრია საქმის მოსიყვარულე იყო. იმ თავის მამისაგან დაცემულ აჯახს, როგორც თოთონაც ამობდა ხოლმე, ეხლა თითონ უყლიდა და რაც კი შაეძლო, რამდენათაც კი ნებას აძლევდა თავის თავ-განწირული ახალგაზდობა, დღითი დღე ფეხზედ აყვნებდა აჯახსა. მიტრია უიმისონობაც განთქმული იყო მუშაობაშია და რასაკურველია, ამ გვარი, ჯერ კიდევ სრულებით ყმაწვილ-კაცი, ყველასთვის საყვარელი, კველასთვის საუკეთესო მეგობარი უნდა კუთფილიყო, რომ მამის იმ ცუდ სახელს, როგორც აჯახისათვის, ისე განსაკუთრებით მიტრიას ყმაწვილ კაცობისათვის არ მოექნო ერთი იმ აღმოუწლელ ჭუჭადანი, რომელიც კაცის სიცოცხლეში მნელათ თუ ამოიშლება!

პი ეს იყო მიზეზი, მიტრიას, ასე მწარეთ და ნაღვლიანი ჩაფიქრებისა. მიტრია, რომელიც აქამდისინ მთელი ახალ-გაზდობის საყვარელი ამხანაგი იყო, რომლის მნელიანობათან მრავალ გერი გამამხიარულებელი სიმღერა, ლაზათიანათ აწმურებდა ხოლმე სოფელს, როდესაც ის რომელსამე მუშის გუნდში ჩარევული, მოდიოდა საღამოთი მინდვრილგანა, ეხლა სულ სხვა გვარად შეიცვალა. იმისი კულავ მოცინარე პირი, ისე აღარ გაუღიმებდა ხოლმე რომელსამე შეცვედრილ მეგობარსა; სიმნევემ და ვარჯიშობამ, რამდენიც დრო გადიოდა იმდენი რაღაც უჩინარი

მანქანების ძალით უკლი; დიდრონი და ყოველთვის ალერსით გამომეტყველი თვალები, ქლა რაღაც გაუგებარ მწუხარებას უხატავდენ მნახეველსა. მიტრია, რომელიც ყოველთვისინ მხიარული, სიამოვნებით გარეოდა ხოლმე ხალხის გუნდში, თავ-მოყრილი ახალგაზდობასთან სიამოვნებით დამლეროდა თავის საყარელ „არა ლალო, იარიალალოს“ და საამურათ ახმაურებდა სოფლის მიყრუებულ გზებსა, ეხლა კიდეც ერიდებოდა ხალხსა; ჩამომჯდარი რომელსამე ხის ქვეშ, გაცუურებდა სიცოცხლით საესე სოფელსა და თითონ კი, მიცემული მწარე და გულის მომწამლავ სევდებს, ფიქრობდა ყოველთვისინ დიდხნობამდე. ერთი სიტყვით, მიტრია ის აღარ იყო, რაც აქამდი-სინ! მიტრია სრულებით გამოიცვალა, იმის გულში მხიარულების ადგილი დაიჭირა სევდამ და ეხლა მხოლოდ ამ კაცის მომნებელ სენს მოეცვა იმისი თუ ფიქრი, თუ სიმხიარულე, თუ სიმარჯვე და ვარჯი-შობა!

მიტრიას მაისისგან თავის ოჯახის ასე დალუპვა, ცოლშეილის ასე შეუბრალებლათ გაუბედურება, ყველას ენანებოდათ გულში, თუმცა კი საქმით ვერასა შველოლენ. ყოველი მეზობელი გაკერივებული იყო, მიტრიას მამის ამ საქციელით, მაგრამ რას იზავდენ, როგორ ალუდებოდენ წინა... ზოგჯერ თავისი მე-გობრებიც, როდესაც ერთათ შეიყრებოდენ საღმე ვენახში სათოხნეელად, სინაულის გამომეტყველებით ეუბნებოდენ ხოლმე მიტრიასა: „ჰეი, ბექავ! მრთხელ თქვენი ოჯახი კი არიყო, ბიჭო, გაძრიელებული!“ ამ გვარი სიტყვები ძრიელ ცუდ გავლენას ახდენდა ისეთაც დატანჯულ მიტრიას გულზედა; სახე მაშინათვე უფიორდებოდა საცოდავათ, ნალელით საესე თვალები მაშინათვე დაეშვებოდენ მიწაზედ და ბრაზ მორული, სევდა აღშფოთებული, ისე რიგათ დაუწყებდა თოხს ცემას, კაცს ეგონებოდა მიწას ებრძეის, ებრძეის, რომ გადმოაბრუნოს თოხით და შიგ ჩანთხოოს თავის სევდა მწუხარებაო!

## II

სოფელი მ—ი დღესაც ერთ იმ გვარ სოფელს წარმოადგენს აღმოსაელეთ ქახეთში, საღაც ჯერ კი-დევ ძეველის-ძეველია და ახალი ანუ უკეთ რომ ქსოვეათ „გაუმჯობესობა“, სრულებით არ მიჰყარებია. იმისი ოლრო-ჩოლრო და ტურფა გზები, დღესაც ერთსა და ივივე მდგმოიარეობაში არიან, როგორც დასაბა-მიდგანვე უნდა წარმომდგარიყოს იგი. არც მცხოვ-რებნი არიან ისე მომეტებულნი, მაგრამ რაიცა სცხოვ-რობენ, ისინიც თვეიანთის ერთგვარ და შეუცვლელ ცხოვრებით, საყურადღებოს არას წარმოადგენ მნახ-

ველთათვის. მინდორი და ტუე არა აჭირ უწერებულ ალაზნის ნაპირზედ დაცემული ველი, დღესაც შშვე-ნიერ ნაყოფს აძლევს იმათ, რომელნიც კი ხელსა სძრა-ვენ და ამუშავებენ მიწასა. აი ამიტომაც არის, რომ ამ პატარა სოფელში არა ერთი და ორი კაცი მოი-პოვება «აშენებული ოჯახიშვილი», არა ერთსა და ორსა ჰყავს საკმაოთ თუ ძროხა, თუ ცხვარი, თუ ლორი, რომლითაც ცველებან და ჩენ შიაც, გლეხ-კა-ცობა ამითი ითვლებიან, „შემძლებელ ოჯახიშვილებათა“.

არ არის კარგა ხანი მას აქეთ რაც ნოდარ ანა-შვილიც ერთ ამ გვარ იჯახიშვილათ ითვლებოდა მთელს სოფელში. მათი ძროხა, ცხვარი და პურით საუ-სე ორმოები, დიდ სახელსა სძნდენ და მთელს ახლო-მახლო სოფლებშიაც კი ნოდარ ანაშვილი გამოჩინე-ბულ იჯახიშვილათ ითვლებოდა; ამ გვარის ყოფა-ცხოვრებით, ნოდარი ცველებან დიდპატივის ცემით იყო მიღებული, ყველა ცდილობდა იმის დამეგობრე-ბას, იმის ნათელ მირნობასა, რომ არ გასწურომოდა ღმერთი, როგორც ამობენ გლეხები, და ერთს არა ჩეულებრივ შემთხვევით იგი არ დამკარებულიყო ხალხში, არ მოპლებოდა ბოლო იმის აქამდე განთქმულ იჯახიშვილობასა.

ნოდარ ანაშვილი შეიქმნა გმირი სიყვარულისა! იმას შეუყვარდა თავისი ერთი ღარიბი მეზობლის ცო-ლი და შემდევ შიაც მას ანაცვალა: ცოლი, შვილი და თავის გაძრიელებული იჯახიცა. მაკრინე, რო-მელმაც ასე მოხიბლა ნოდარის გული, ღარიბი კაცის ცოლი იყო; იმისი მაღალი და წამოსადევი ტანი, თეორ წითელი სახე და ყოველთვისინ მოცინარე ტუ-ჩები, რასაურველია ალერათ მოინაღიებდენ ყო-ველი კაცის გულსა! სიარულის ღროს ტანის ნაზათ ჩევევა და შავი გამომეტყველი თვალები, ძრიელ აშშ-ვენებდენ, მაკრინეს ისეთაც საუცხოვო შეხედულება-სა, ერთი სიტყვით, მაკრინე ცუდა სამი წლის სოფ-ლის ლამაზი ქალი იყო!

ასეთი იყო მაკრინე ამ ათი თხუთმეტი წლის წი-ნათ, როდესაც სრულებით მოინაღირა ნოდარ ანა-შვილის გული და გახადა თაყვანის მცემელი მონა თავის სიშვერიერისა. მაკრინეს ყოველი სურეილი, შე-დევ ნოდარისათვის დაურღვეველს წესიერებათ გარ-დაიქცა.

ამ ღროს ჯერ კიდევ ნოდარის იჯახი დუღდა-და-გადმოდიოდა, როგორც ეხლაც ამობენ იმისი მე-ზობლები. თითონაც აღრე იყო დაბინავებული და თავის კანონიერი ცოლისაგან მიცემული მიტრია, მაშინ ექვსი-შეიდი წლის ბიჭი იყო. ამ გვარს ყოფა-ცხოვრებას ბეჭრი უშლიდა, ბეჭრი არცვენდა ნოდარ-

სა, მაგრავ, ის მაინც თავისას არ იშლიდა და რამ-დენიც დრო გადიოდა, იმდენი უფრო ღრმათ იდგამ-და ფეხებს იმის გულში მაკრინესაგან ჩანთხეული სიყვარული. წინეთ მაკრინეს ღარიბი სახლი, თან-და-თან შეძლებელ ოჯახათა ხდებოდა; მაგრამ, ამა-ვე დროს ნოდარის განთქმული ოჯახი დრო გამოშ-ვებით ეცემოდა, სწორდებოდა მიწასთანა, ერთი სიტყ-ვით, მაკრინეს ოჯახი გარდაიქცა ნოდარის განთქმულ და სახელოვან ოჯახათა! მაკრინეს ეზოში დღეს უხ-ვათ დაინახავთ ძროხას, ცხეარს, ღორის, როდესაც წი-ნეთ იმის ბეღობაზედ მხოლოდ რამდენიმე ქათამი თუ მოიპოვებოდა. ყოველ ზაფხულობით, საქამო «ფთა-მოქცეული» ილეწება მაკრინესაგან შეძნილს კალო-ზედ და ახალი მოქრილი ორმოები ხომ უხვათ ევსე-ბა ლამაზი პურის ზეაითა...

ამასობაში დრო ჩვეულებისამებრ გადიოდა; მიტრია თან და-თან ვაჟაცდებოდა; ადრე გაძრიელე-ბული ოჯახი, მამის წყალობით, დღეს თუმცა მიწას-თან იქ გასწორებული, მაგრამ მიტრია როგორც არის აცხოვებდა თავის საბრალო დედასა .. აი ეს იყო მიზეზი, რომ რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი ცხადათა ჰედავდა მიტრია თავის მამის მოქმედებასა და უფრო უფრცელდებოდა ჯერ კიდევ ახალგაზდა გულში ბოლმა სევდები, იმდენათ ეძლეოდა მწარე ფიქრებსა და აღარ იცოდა რა ღონის ძიებით დაებ-რუნებინა ერთხელ დაკარგული სახელი ოჯახიშვილი-სა, რა ღონის ძიებით ამოეშალა ის შემარტვენელი ჭუჭყი, რომელიც ასე ბლობათ იყო მოქობილი მამა მისისაგან

გეღარ-ჩიხედი.

(უმდეგი იქნება)

ახალი აგბები

სასაჩ დო თავის მქალედობა დღეგოშა დღეს

◆ ერთ ზასტავის ჩინოვნიქს მიულოცეს თურ-მე თავის მეგობრებმა აღდგომა და, ჩვეულებისამებრ, სა-დილათაც იმასთანეე დარჩენილიყვნენ. როდესაც კარგათ შესულან მდაში, ამ დროს ორ სტუმარს ერთმანეთში მოსვლიათ ჩხუბი. ეს არმოსწონებია მხიარულ მასპინ-ძელსა და უთხოვნია სტუმრებისათვის რომ დაშვეიდებუ-ლიყვნენ, რადგანაც ბეღინერ დღეს და ისიც უცხო ცოლ-შვილში, ასე უშვერის სიტყვებით ერთმანეთის მოხსენიე-

ბა პატიოსერების წინააღმდეგია. ამ თხოვენი შემდეგ ველარა საბრალო მასპინძელსა და მოჩარუბართ შინიც განეგძოთ შეოთი. მეორეთ თხოვნის შემდეგ, გავრცელა თურმე მასპინძელი თავის ოთახში და წამოავლო რე-ვოლუცის ხელი, ამ სიტყვებით: „მე დღეს, როგორც ბეჭინიერ დღესა, მხიარულება მიჩადა და ეგენი თავიანთ უპატიოსენიებით მაშამებენო!“ დააპირა თუ არა რე-ვოლუცირის სროლა, ამ დროს შეამჩნიეს დანარჩენ სტუმრებმა და წარათვეს ხელიდგან რევოლუცირი, მაგ-რამ, ამითი ახირებულ მასპინძელს მაინც თავისი არ დაეშალნა და იქვე კედლიდგან ჩამოვალიჯა ხანჯა-ლი და დაეკრა გულში...

ახირებულია, თქვენმა მზემ, სტუმრების ჯიუ-ტობას, კაცმა თავისი თავი ამსხვერპლოს!

◆ ამ მოკლეს ხანში თბილისში შემდეგი წიგ-ნები გამოვიდა: 1) მებაღური, პოემა პუშკინისა, თარ-გმანი ლექსალ, რ. მრისთავისაგან. ვასი 5 კა. 2) ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი. ბიოგრა-ფიული მიმოხილვა ზ. მთაწმინდელისა ფაზი 20 კ.

◆ ამ ქამად თბილისის სტამბებში შემდეგი წიგნები იგეჭებაო: 1) სამშობლა ენის. უესასწავლებ-ლალ, შეღვენილი ს. ნათაძესაგან. 2) არიფმეტიკული ამოცანები. რ. ჯავანაშვილისა. 3) ქუდ-ბედიანი, საყ-მაწვილო მოახრობა ე. ასათიანისა.

◆ ჩვენ შევიტყეთ, რომ ამას წინეთ ერთ ყმაწვილ კაცს ერცელი მოხსენება წარუდგნია «შერა-კითხეის სამართველოში», რომ საზოგადოებამ თავის ხარჯით გამოსცეს იეფად და სახალხოდ ჩვენი უკვდა-ვი შოთა რუსთველის „ვეფხის ტყაოსანი“. ამას წი-ნეთ როგორც «ცეკვიაში» იყო მოხსენებული საზო-გადოების უმეტესის ხმის ტჩევით ხსენებული მოხსე-ნება უკვე შეუწინარებიათ და «ვეფხის ტყაოსანის» გამოცემაც გადუწყვეტიათ. მედია, რომ ეს გამოცე-მა მალე გამოვა, რომელსაც არა უმეტეს 40 კა. დაუნიშვნენ და მით დააკმაყოფილებენ ერთათ ერთ მოთხოვნილებას ქართველ დაბალ ხალხისასა.

◆ მსევე საზოგადოება ბეჭდავს თავის ხარჯით „რობინზონ კრუზის“ სურათებით და მაღაც გამოვათ. წიგნში 20 სურათზედ მეტი იქნება ჩართულიო.

◆ შასრულ კვირას თბილისის სათავად აზნაუ-რო სკოლის მოწაფებმა სალიტერატურო სალამო გამართეს და უნდა ვსოდეთ, რომ ამ სალამომ ერ-თობ მრვენიერათ ჩაიარა და ცელა წამკრთველები მშევნივრად კითხულობდენ.

\* \*

შორიშისთვის გარ გაჩენილი,  
მისთვის მიუვარს მთა და კედ!  
ჩემთვის იგი სამოთხეა  
და საუჯვე სანატრეჭი!

როცა ჯერეთ განთიადის  
ცახვიარი, მინათებს გზას;  
მც ნამგალ გამზადებული  
და მუშავები ყანის მკასა.

რაგი კარგათ დავიღები  
და საქმიათ გავსჭრი ყანის,  
მასინ მეც გასარებული  
გავუურებ, მშორმელ ჰეჭანას.

რისარინ! რომ მანდორაა,  
წერძო და დუღულების ერთ,  
ორგათ მორწეულ დედინის  
ჩენთვის მოაქმე ჰპელაზერ!

გელის-ციხელი.

## სხვათა შორის

(შორისის მაზრიდამ)

ეს არის მოვიშორეთ თავიდიმ ბეზარი ზამთარი თავისი განუშორებულის სუსით, ყინვებით, თოვლით, ქრებით და გაზაფხული გვიღება. შართავა, ის გაზაფხული, რომელიც ჩენთვის სულით და გულით სასურველია და რომელსაც ზეციური მანანასავით გელით, ჯერ ჩენზედ იქნება შორს იუს და ლოდინიც ჯერ-ჯერობით დოდინად რჩებოდეს, მაგრამ ბენების კანონი მაიც შეუჩერებლად სრულდება და აი კიდეც დავინასეთ: მწვანე მინდვრები, ახდად შემოსილი ტექი, აღვენებული სესდები, გაზაფხულის წინა-მორბედი მერცხლები და პატავები და ამისთვის ერთ-რიგად შლასარული გართ... და მარსეც ხაშ მოგაშორეთ თავისი ლობით და ოხლათ, მოგზარდა მომაგალ წლამდე. გაგვისხმდა. ეს დრო ბევრ საირად სასიამოვნო და სისარულით მისაგებული დროა უკელ, სავის და განსაკუთრებულით ჩენი მაზრის ბარიშების დარღვევის გარების გარები.

მე არ მოგასხებოთ ქალაქებში მცხოვრებთ ბარიშებზედ, რომელნიც ამ დროს ბუღარებზედ, ტროცენარებზედ, ბაღებში და სხვაგან ატარებენ, მოგასხებოთ მხოლოდ ჩენი მაზრის ბარიშებზედ.

როგორც მოგეხსენებათ, უმეტეს ნაწილი და მარჯვე ისროთება სოდებე—თუ შეიძლება ასე განიშვით —ჩენში იარმუქობა, რომლებზედაც, სხება და სხება მაშვლების, ჩარჩების და მაჭინკლების წეალობით საღდების სოდებე— „მაზრის ბარიშები“: ერთო— შემოდგრმზედ და მეორე—ეხლა, გაზაფხულზედ; ზორგელი „იარმუქობა“ თვით ენგენისთვიდამ დაწეული 14 სოემბრამდე გრძელდება სოდებე და სწორებ მოგასხენოთ—ბევრი კოჭი, უკრი ბრუციანი, ბრძა, ბენდიანი და სიძეების გამო და მარუბულ-დაობული საღდება სოდებე, მსეიდველთა საგალალიდ და თავ-სატესად... ესდანდები „იარმუქობა“ წელს დაწეული 20 აპრილიდამ და შეტრეპავლის მარხის ბარგელს დღემდე გ-სტანს... კაჭრობა გვალვინ დებულიდ, რასაგვირველია, ანც წელს იქნება უიგორ და ბერი დარბაისელი მშობლები მოცილებები თავიდამ მათს «გასასაღებელს საქანელს» და ბევრი ასალგაზრდა კი ამ „საქანელს“ საჭირ-ბაროტრდ კისერზედ შაიხამები... მაგრამ ამსოთ ისიც უნდა მოგასხენოთ, რომ ამ უგანასხენებება დორომ ბევრი უთანემოება და უკმაყოფელება გამოიწვია „უკოდლოთა“ და „გაუთხოვარო“ მორის. ამ უკმაყოფელების უმთავრეს მაზრად მე ბირადედ უმოდას“, ამ დაწეულიდება და ამისაფეხერ „მოდას“ გსთვლი. წარმატება და ცუდლუტობეც იქმდე წინ წავიდა, რომ კი ჩენი „ქალაბატონები“ თავის „ქალურს“ რო აღარ დასკერდებ, —კაცისაც კი ბერ რამეც ში ცილობა დაუწეული; ია, თუ გაინდ, ავილოთ ქუდი, რომელიც ამ წერტილში როგორც მამა-კაცს, ლეგურობას, ხანჯალის და დაბასათან ერთად, ამშენებს—ლექას მაგივრობასაც ჩადას და გატეხილი მოგასხენოთ—ისე უხდებათ, როგორც ერთს სულიერს უნაგირი (უგაცრავად ამ უგანასხენელის თმისათვის, მაგრამ რა განეწყობა, მე რაც მართავია იმას კამბობ). უმწვიდ-კაცობმ ეს ცილობა, რასაგვირველია, შენიშვნა და როდესაც გაიგო, რომ „მანდილოსანია“ მანდილოსნობას ადარ სჯერდებინ და „უკოდლოსნობაც“ მოანდობეს, —ცოტა მათზედ გული გაიტესა და წარსის აწევათ დაწეულ ცერტა.

ამზედ დიდი რეგაც ურავილეულო, როგორც მითხუება... შეაურათ ერთად თავი მაზრის „დარბაისლებს“, ერთიათ, ესავათ ეს საქმე, მაგრამ კერას გამხდარივებენ... ერთს, უფრო ბრძენს და აქა-იქ ნამუთის, კრებაზედ წინადაღება შეატანა და მოეხსენებინა, რომ „კინაიგინ ჩენი „მაზრის ბარიშები“ უქედასნებად“ გარდაიქცეს და ჩენწები თავიდამ ქედი მოგზადეს,—მოდი, ჩენწები აუჩექები დაგისტროთ და ამით მათ გული გატეინოთთ. ამის მოხსენების დროს კრებას ბევრიც ეცინა და, რასაგვირგელია, ანც ეს წინადაღება მიეღო, როგორც ურკველებე მოსაზრებას მოგლებული და ისევ დაედგინა რომ „მაზრად ქედასნებოთ“ თვითონება გაგრძნობით მათი მე-

ტიხონია და წალება და გასათხოვოდ გამზადებულთ  
ხელი შეუძლოთ და ამთ შეცხს ისწავლანო...”

ამ გარდაწევეტილების თანასმად კერ შეხერგბულია  
არაა და—თუ მართადს ვატყვით,—ისიც უნდა ვსთვათ,  
რომ შემცირება ჩვენი «მ. ზრის სარიშნებისა» ჯერ ჯერ—  
ნით შტატ გარედ დარჩენ. ამ, გარემოების გამო, შტატ  
გარედ დარჩენა რომ არავისთვის შესამჩნევი არ ყოფილი—  
ყო,—«დარჩენილებმა» ბევრი ხერხი ისმარქს და სხვათ  
შორის უკათხსავადაც იმას გაიძის და, რომ „უსწავლილს,  
გაუნათლებულს და უმატელოს არ წაგვეხით არაფერ შემთ-  
ხვევაშია“ და ამთ ინუგეშეძინენ და დღესაც ანუგეშებენ  
თავს, თუ კი თავისთ მდგრადულიას ჩვენზედ უფრო გარ-  
გად სცნობენ...”

გის ქახან ჩექეს მაზრაში „სასწავლის, განათლებულს  
და მომულიანს“ და როგორ შემთხვევას ქანდა ამ უკა-  
ნასკნელს დროს აქ დგილი ამას შემდეგში მოგწერთ.

ამ გაზაფხულთან ერთად ერთ-გვრი სეზონიც გაისხ-  
ნება; სეზონი: ნაოდ აუქის, წეველების, ქორწილების და  
სხვათა, რომელთა შედეგი ჩვენს მაზრაში ჩეხეა, ცემა, გვლა  
და სხვა ამ გვარი რამებიც იქმნებიან. ასე რომ ამ სეზონ-  
ში შემთხვევა ხშირად გვიშმება ხოლმე დაგესწროთ ამ  
გვარს სცენებს: რომელსამე ტერეზიას, ან ნინას, და ან  
ეფრაიმის ქართველ გამარჯვებულინ ჩვენი „წევროსნები“  
დაჭრილის კაცებზედ ჩავლის დროს ხშირ დამდგ-  
რებები:

ტერეზია ქალო!  
ახლა ვისი სარო! და სს.

Z.

## ე პ ი ს ტ ი ლ ე

ბატონო ხონელო!

ჩვენც მივიღეთ ერთი ლექსი ფრაად შატრივეტებული  
შირისაგან და წარჩინებული მწერლასაგან. ამ შატრივეტებულ-  
მა შირმა, არადგანაც ჩვენი სიმართლე დაინახა, დასმარება  
ამოგვიჩნეა—და გულითად მაღლაბას ვუძღვნით, თუმცა,  
დიაგნებო, თქვენ რა დირს-რო იმათ, რომ ამდენი გაცი  
თქვენს წინააღმდეგ აღიტეულოს: „ჩიტი გამტკბათ არა  
დარდა, უკან დექნა მეტია!..“

მს ლექსი, ჩვენის აზრით, ერთიან სელავნურათ არის  
დაწერილი, მაგრამ ერთია ნაკლებეკნება შეგნიშვნეთ: ნამე-  
ტიანი დინჯა კიდოთად დაწერილი თუ მივიღებთ შევდეგ-  
ლობაში იმ გარემოებას, რომ ის არის მიმართული მედ-  
კითნე დიაგნისადმი. ამ ეს ლექსიც:

ლია ხონელის.

ეროვნული  
ბაზარის მეცნიერებების

მოგეწერა, წავიკითხე

შენი წიგნი, ჩემი ქება.

შენ მომასწარ, თვარე მეცნა

შენზე გული მეფხანება.

ჩანგი შოთას უსაკუთრეთ,

თუ იქნება თქვენი ნება;

სალალობოთ, სათრეველათ

ორი სიტყვა მეცნა მხეთება.

\* \*

ნურეის სარკმელს ქვეშ ნუ დგახარ,

დამიჯერე, არ გეწყინოს,

არ იფიქრო, განდევილის

მზისა სხივი მოგეფინოს.

ქილ-ჩაცენილ რითმაობაში

ვათუ ვერვის ვერ უკბინოს,

მტერი შენი გააცინოს,

მოუვარე კი მოაწყინოს.

\* \*

ჰე ხონელო! მომისმინე,

შემენელი ხარ კაცი ვარგი.

ნათქეამია: «შაირობა

სიბრძნისა ერთი დარვი».

არ გეგონოს, რომ ეს იყოს

შათამ-კვერცხი, ხონელოთ ბარგი!

ბევრი წერით რა გამოვა,

თუ ვერ გითქვავს რამე კარგი?!

\* \*

ჩემსა მუზას რათ დასცინის

შენი მუზა ხელოვანი,—

ხელოვანი, მაგრამ ფრთებით

მციროვანი, ბუზოვანი?

ჩემი მუზა არის სწორი,

შენი მუზა კუზოვანი.

ზოხოვთ, ნუ გარევთ ერთმანერთსა!

ოქვენი მონა სილოვანი.

\*\*\*

ქ. ჭუთასი.

5 აპრილს.

ლია ხონელის.

ჰე ხონელო! რადგან მიწვევ,  
გამოვლინარ, გამიჩერდი!

აბა ვნახოთ, თუ გივარგათ  
დაკვენებსა მკლავი, მკერდი.  
თუ გინდა თვით პატრიარქით  
ზამაგროთ კარგათ გვერდი,  
მე მაინც თქვენს ალავერდზე  
ასჯერ გეტყვით: „ახშივერდი“!

\* \*

დიაკვენებო! ღმერთმან იცის,  
თქვენ არ გაგდებთ არცა ჩირათ,  
მაგრამ იგი, ის ბელადი,  
ბურთს რომა ჰევას ტანათ-პირათ,  
იგი გვიწვევს, გვაიძულებს...  
ვათასებდით ჩენ მას ძეირათ,  
და აწ რადგან გადიაკვნდა,  
ალარა გვშურს გასაგმირათ.

\* \*

შენ, ხონელო, ჩემი სიტყვა  
გულში მოგხედა, გაგამწარე.  
ჰე, გამოდი: დიაკონთა  
მთელი დასი მოიხმარე.  
დიდებული ის პოეტიც  
იშიმშერე და იფარე,  
და თუ მაინც ვერ მაჯობო,  
ორივ თვალი მოითხარე.

სილოგიზი.

## “ეპლილი სიყვარულისაგან” \*)

დრამა 5 მოქმედ. თხზ. დონ-მანუელ ტამაისი და ბაუსისა

## სტენ. VIII

დედოფალი, ღონა ელფირა, ცოტა ხანს უკან  
გერნარი და მერე პაჭი.

დედოფალი. აქ მოდი აქ, მლეირა, და დაკოც-  
ნე შენი დედოფალი. დამატერდი მლეირა. მხლა  
მე სუ მთლად გამოეიცვალე. ზანა ჩემი თვალე-  
ბი, ჩემი ხმა არ მოწმობენ რომ მე ვილიქს  
უყვარება? როგორც გითხარი: კაპიტანი განდევ-  
ნილია აქედგან ჩემი გულისათვის, საწყალი კა-

პიტანი! იგი ღირსია ჯილდოსი. ღიდებ ჭურუ ღმერთული ე  
მე რამდენჯერა გთხოვ სიკედილი. ტყუილად ვიჟე-  
ნეულობდი შენს სამართალში! ჰო, ელფირა, იგი  
გახელდა, იგი ეჭვიანობს, ეჭვიანობს ჩემზე. ჰედავ  
რა ბელიერი ვა?

დედოფალი. მხლა ხომ არაფრისა და გეშინიანთ?  
დედოფალი. არაფრისა.

დედორა. ზერნარი დაბრუნდა და ეხლა აქ იც-  
დის.

დედოფალი. სულ ტყუილად გავგზავნე იგი.

დედორა. ვეტყვი რომ წავიდეს...

გერნარი. (შემოდის) ნება მიბოძეთ, დედო-  
ფალო...

დედოფალი. მოდი. იყავი ხომ სასტუმროში, სა-  
დაც გაგზავნე. ის ქალი ნახე... ძარგი, მე ყველაფე-  
რი შეტყუბილი მაქეს. ბასამრჯელოს მიიღებ... წალი.

გერნარი. დედაკაცი, რომელზედაც თქვენ ღიდე-  
ბულება მელაპარაკება, ღიდებული ჩამამავლობისა ყო-  
ფილა. იგი სასტუმროში ალარა სცხოვრობს.

დედოფალი. იგი ღიდებული ჩამამავლობისა არი-  
სო? ის იქ ალარა ცხოვრებს ა? მაშ სად წასულა? მიამ-  
ბე ყველაფერი.

გერნარი. თქვენგან გატანებული ოქროს წა-  
ლობით მე შევიტყე, რომ იგი ბურგოსში წაუყვა-  
ნიათ.

დედოფალი. (გაწყვეტინებს) აქ წამოუყვანიათ?

გერნარი. იმს დაუწერია წიგნი და ჩუმათ მე-  
ფესთვის გაუგზავნიათ.

დედოფალი. მეფესთვის წიგნი მოუწერია. გესმის,  
მლეირა.

დედორა. მე მზექს ვერა ვწელამ...

დედოფალი. მტყუბა რომ მე ვერც ერთს დღეს  
ვერ მოეისვენებ. (ელვირას გაიკანს განზე და ეუბ-  
ნება) ალდარა ბურგოსში! წიგნიც მოუწერია მეფის-  
თვის! ნეტა შეინახავდა თუ არა ვილია იმ წიგნს?  
მაგრამ მაგას უყვარს ამ გვარი ნიერების შენახვა.  
იგი ერთს უჯრაში ინახავს. მე ვიცი იმ უჯრის გა-  
ღება. აბა ღროს ნუ დავკარგვათ...

ბაჟი. (გამოჩნდება კარებში, რომელიც სცენის  
სიღრმეშია) აღმირალი და სხვა დარბაისელნი ნახეასა  
ნდომულობენ.

დედოფალი. მხლა არ შემიძლიან... მერე მნა-  
ხონ... ცოტა ხნის შემდეგ (პაჟი გადის) ვუდი... ამითი  
მე რა დამიშავდება? (მიღის მეფის ოთახში)

ელფირა. რას სხალით, დედოფალო!

დედოფალი. შენ გინდა მე აქ დაერჩე, არაფრის  
ყურადღება არ მივაქციო, თუმცა კი იცი რომ...  
გარეგნობა ხან-და-ხან ატყუებს კაცს, შეიძლება მე აქ

\*) იხილე “თეატრი” № 15.

ვერაფერი ვიპოვნო რა... და თუ ვიპოვნე... თუ ვიპოვნე! (შევა მეფის ოთახში)

### სტენა IX

ლონა მლეირა და ზერნარი.

ელგირა. ყველაფერი მართალია რაც დედოფალს უამბე?

გერნარი. მე რაც გავიგონე ის უამბე. საწყალი დედოფალი. მალა კი მიხვედრილი ვარ იმ დედაკაცის წასევლას რათ აძლევს იგი ასეთ შნიშვნელობას.

ელგირა. ზაჩუმდი თუ მიხვედრილი ხარ.

გერნარი თქვენ ნუ გეშინიანთ, მე ფრთხილად ვიქნები.

ელგირა. იცი ხომ—რომ ეს ამბავი დიდ უბე დურებას მოასწავებს?

გერნარი. მნდევით ჩემს ერთგულობას, მლეირა.

ელგირა. ვიცი—რომ დედოფლის ერთგული ხართ.

გერნარი. დიახ, მე მიყვარს იგი და პატივსაცა ცხცემ. იგი ზეცით მოვლენილი ანგელოზი მეონია. სასახლეში კი გაიძახიან: დედოფალი ჭკუაზე შეიშალა.

ელგირა. ზაზუმდი. ეს იმს არ გააგონო, თორემ მოკვდება იგი.

გერნარი. ურიგო ხომ არ იქნება სუყველა ეს ღონ ჭილიპეს უთხრა?

ელგირა. ზადი აქედგან.

გერნარი. (მეფის ოთახისკენ მიიხედავს) დედოფალი აქ მობანდება.

ელგირა. წადი აქედგან. (გერნარი გადის იმ კარებში, რომელიც სცენის სილრმეშია).

### სტენა X

დედოფალი და ლონა მლეირა.

დედოფალი. მართალი გამოდგა. პი, იმ დედაკაცის წერილი! მე მაშინვე ვიპოვნე.

ელგირა. შესაძლებელი არ არის.

დედოფალი. წაკითხეა მინდოდა, მაგრამ სულ ამიად ვაცეკრდებოდი ნაწერს. მე ვერაფერი წავიკითხე-რა.

ელგირა. ნურც წაიკითხაეთ.

დედოფალი. ნუ წავიკითხაე? დმერთო ჩემო! გეტყუბა რომ შენ თავისიდლეში არა გუვარებია! შენ თა-

ვის დღეში ეჭვიანობა არ გამოგიცდა, შეწყრულ გული! ნუ წავიკითხაე? შენ, მგონი, რომ ხუმრობ. აპა დამიჯერებია შენი სიტყვა. (კითხულობს) „მეფევ, როდესაც მე გთხოვთ. თქვენ დამპირდით სეფეალობას სასახლეში. მან, რომელიც ინიციატივის დადიოდა ხოლმე სასტუმროში, დევ აქედგან სასახლეში გადამიყვანოს. მანდილოსანი სასტუმროდგან“. მეფესაც უპასუხნია, ეს ქალიც აქ იმყოფება, აქ, სასახლეში, ჩემს ახლო! არა მე ეს არა მჯერა!

ელგირა. დამშვიდებით, დედოფალო...

დედოფალი. მგონი შენ ამის მეტს ვერაფერს მაახერხებ სათქმელად? განა არ გაიგონე რომ ის აქ არის? როდესაც მე მეფის სურვილს ვეწინააღმდეგი, ამან ჩემის ჯიბრით, მოიყვანა იგი აქ, ჩემს საკუთარ სახლში... იქნება დაავიწყდა ამ კაცს—რომ მე დედოფალი ვარ, ჩემს განრისხებას იგი ვერსად გეებულა. მე მეგონა ფალიაქს უყვარებარ მეთქი, მეგონა რომ იგი ეჭვიანობდა! შეყვარებული ცოლისთვანა უბრალო რაღა იქნება! მორივმ როგორ მსხარად ამივდეს! მე გადუხდი ამათ. რაღას ვიგვანებ.. შერის ძიება უნდა შეურაცხობას უდრიდეს! წადი, დაუძახე მეღეს. (შეაყენებს) არა, მოიცადე, ჯერ გული დავიმშეიდო. არა, წადი, წადი! რომ დავშვიდე, სიბრაზე გადამივლის. მაგ, უძლურო გულო, რატომ არ შეგიძლიან გონებას შეეკითხო?.. მხლა დამშვიდებული ვარ... რა გითხარ, შენ?

ელგირა. (თავისთვის) ესენი ამას მარტო ჭკუას კი არა, სიცოცხლესაც წარომევენ!

დედოფალი. შოველ უწინარეს... ახ!.. (თითქო რაღაც მოაგონდა) ჰო, მეფის შეყვარებული იმ მანდილოსნებში უნდა ერიოს, რომელიც ბურგოსში მოეიდნენ სამსახურისთვის. მს წერილი სიმართლეს მეტყვის: სუყველა მათგანს დავაწერინებ ორიოდ სიტყვას; მერე შევადარებ ნაწერებს... ჰყურობ, მლეირა, მოსაზრება კიდევ შემძლებია, წადი უთხარი ყველას, ამ საათშა აქ დაიბალონ... (კიდევ შეაყენებს) ერთი შენა თქვი... განა დამნაშაობა არ არის—რასაც ის დედაკაცი მიშერება?.. და დანაშაულობისთვის სასჯელია კანონში დანიშნული. მართალი არ არის? განა მე დედოფალი არა ვარ? ნუთუ ტყუილად ვბრძანებულობ ამდენ სახემწიფოებზე და თითქმის დედამიწის მთელ ნაწილებზე? ამათ კი მასხარად აიგდეს პატიოსანი და მოყვარული დედაკაცი. გეფიცები ღმერთს!.. ვნახოთ ესენი როგორ-ლა დასცინებენ ჩემს შერისძიებას! (ელგირას, რომელსაც რილასიც თქმა უნდა) რა გინდა მითხრა? შენ კიდევ სისულელეს მეტყვი. განაზუმდი, მე შენ უურს არ დაგიდებ. წადი დაუძახე

აქ კულა: მან დილოსანს... ვაი შენ — თუ კრინტს დასძრავ — საღმე. (დაინახავს ადმირალს და გრანდებს კარებში, რომელიც სცენის სიღრმეშია) ვინ მოვიღა? ვინ არიან ეგენი?

ეღვიანია. გრანდები. მსენი თქვენთან მოსულონ სალაპარაკოდ.

დედოფლია. ჰო, ვილი, ეხლა მამავონდა (ლაპარაკის კილოს იცვლის) მობანდით, ბატონებო, მობანდით, მე მოხარული ვარ თქვენი ნახით.

### ს. 6—თ—შეს

(შემდეგი იქნება)

წინა გამოცანების ახსნა.

1) ღმერთი. 2) ბზა.

რედაქტორი და გრამატიკების გ. ია. შავე.

## განცხადებანი

ს ტ ი მ ბ ა

მ ე ლ ი ქ ი შ ე ი ლ ი ს .

თვითისში — სასახლის ქან., არწილუსის ეულ ქარგისაში, ქართული თეატრის ქაემო სართულში.

იდეს უოგელ გეგარს სასტამბო საქმებს საბეჭდავთ: გაზიერება, წიგნება, ბრუშების, აგრეგატების გადასაცავის, გვიტანციების, სხოტების, განცხადებების, აფშების, პირობების და სხვ. სასუფთავებზე და აღნიშნულ დროზე საქმე ს შესრულებაზე სტრიბა პირობას აძლევს საქმის მომტანო.

სტრიბა გისრულობს გრანტების გასწორებას და ბრუშების გაკეთებას, უკეთუ ზედას მომცემნი ისურვება.

„თამან ცეკვისა“

ისტორიული დრამატიული პოემა აკაკის,

ისეიდება მთარიჯის ბიბლიოთეკაში, გოლოვინის პრისტეპტზე, მუხრან-ბატონის სახლში და გრიერზების წიგნის მაღაზიაში. ფასი ათა შავრი.

(10—2)


## სურათები

ჩვენი პოეტებისა და მწერლებისა

აკადემიული

ილია ჭავჭავაძის

გ. ა. ორაველიანი



ცოდნები  
მაცხოველი

გიორგი ერისთავი

სახელი  
გენერალი

ჩინებულ ადექს ნდროვას ჭ დად ზედ  
მს. ტერონა ა. ბერიძეს

ისყიდება გრანტების წიგნის მაღაზიაში, მუკის ხილის ყუჩზე, ზუბალოვის სახლებში და ი. საფაროების ბაკალევინი მაღაზიაში, არწ-რუსისულ ქარვასლაში.

გინე ას ას მეტს სურატის გრძლავებს, მა-  
შაბა თათა სურატი 16 გა. დაეთმობა.